



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა ქედა



N 34  
15/03/2018

34-04-4-201803151133



**ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური  
შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ**

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის, „გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №6 დადგენილების მე-3 მუხლისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რომან დავითაძის 2018 წლის 14 მარტის №81-04 წარდგინების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო განისაზღვროს ათი წევრის შემადგენლობით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვროს შემდგენიარად:

ა) რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) მზია ბოლქვაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ოთარ ხარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დ) ჰამიდა ზოიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი;

ე) ზაზა დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში;

ვ) თეა შარაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში;

ზ) მაგდა მახარაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;

თ) ინდირა გორგაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასა და მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში;

ი) თინა თებიძე - აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს ქედის განყოფილების უფროსი;


კ) მადონა ფალავანდიშვილი - ა(ა)იპ ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრის თანამშრომელი.

3. ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე